ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო, დიდის ძუძუ, არ გაიცვლების სხვაზედა...

# ოდიში

1990 სამშაბათი 30 ოქტომბერი №130 (10367)

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

ფასი 3 კაპ.

საქ. კპ ზუგდიდის საქალაქო კომიტეტისა და სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების ორგანო

## ახალი საქართველოს მოლოდინში

ახლა მთელი საქართველო დიდი მოლოდინით ცხოვრობს. არ გვეგულება ისეთი მოქალაქე და უპირველეს ყოვლისა ქართველი, რომელსაც გული არ უჩქროლავდეს ხვალინდელ დღეზე ფიქრით. ყოველ მათგანს მომავალი საქართველოს თავისი ხატი ჰყავს. ეოცნებება ისეთი სამშობლო, რომელიც თავის შვილებს ცხოვრებისა და შემოქმედების სანუკვარ პირობებს შეუქმნის, ხოლო მტერსა და მოშურნეს თვალს დაუყენებს, ღვარძლით გულს [illegible]. მაგრამ თვით უფალია მოწმე, ქართველები სამტროდ არავის არ ვიმეტებთ. ჩვენი ჯიში და ჯილაგი სიყვარულისთვის უფროა გაჩენილი. მიტევების ქრისტიანული უნარი ოდითგანვე მოგვდგამს. მაგრამ საშიში, მოუცილებელი ნაკლიც დაგვებედა, არსთა გამრიგესაგან. ერთმანეთს შორის შუღლისა და ქიშპობის თესლს ვერარ მოვრევივართ და ანგარიშმიუცემლად ნოყიერ ნიადაგს გამოვუძებნით ხოლმე, რომ თავისუფლად გაიღაღოს.

ახლა კი კონკრეტულად 28 ოქტომბრის მღელვარე და ღირსსახსოვარი დღის გარშემო ტრიალებს ყოველი ჩვენგანის ფიქრი. ამ დღეს მართლაც უპრიანია საეტაპო თარიღი ეწოდო. მართალია, დროის მდინარების კვალობაზე იგი უკვე წარსულს განეკუთვნება, მაგრამ თავისი ისტორიული მნიშვნელობით მომავლისაკენ მიგვაპყრობინებს მზერას. იგი ფაქტიურად ახალ გზებს კვალავს იმ სანატრელი საქართველოსაკენ, რომლის წმიდათაწმიდა დროშაზე კვლავ უნდა დაიბინადროს ოქროს სიტყვებმა: თავისუფალი, დემოკრატიული, ქრისტიანული საქართველო.

დიახ. ყოველ მოქალაქეს ერთი სული აქვს პირველი მრავალპარტიული არჩევნების შედეგები გაიგოს. საკუთარი თვალით ნახოს ის 250 პიროვნების გვარი და სახელი ახალი უზენაესი საბჭოს შემადგენლობაში, რომელიც ხვალ და ზეგ თავის მრავალნატანჯ, ბედკრულ ქვეყანას ბედნიერი მერმისისაკენ წარუძღვება. მას უნდა პარლამენტში იხილოს 250 ცოცხი, რომელთა გულის მხურვალება, გონების [illegible] და გამბედაობა მომავალი გამარჯვებების საწინდრად, ურყევ რწმენად გაინასკვნება ქართველთა გულებში.

ახლა ყოველი ჩვენგანის გულში უჩვეულო მღელვარება ისადგურებს. ყველას აინტერესებს, როგორ წარიმართება ჩვენი ცხოვრება, რა სახის სიძნელეები ელიმართება ახალი საქართველოს წინაშე. შეძლებენ კი ჩვენი პარლამენტარები ისე ატარონ საქართველო მომავლის მღელვარე და უკიდეგანო ზღვაში, რომ ავბედითი ისტორიული კატაკლიზმების მეჩეჩებს ასცდნენ? მძაფრი და მტკივნეულია ეს კითხვა, მაგრამ იმედის კეთილი სხივით დამუხტულიც გახლავთ. ნათელი რწმენა ჩვენთანაა, რწმენა იმისა, რომ ყოველნაირ გაჭირვებას გადავიტანთ და ავაშენებთ მკვიდრსა და მშვენიერ ქვეყანას. რატომაც არ უნდა შევძლოთ ეს, რამეთუ საამისო ნიჭიც გვიბოძა განგებამ და კალთადალოცვილი მადლიანი მიწა. ოღონდ ხელი გავიქნიოთ, მონდომებას ალღოც მივატანოთ, ერთმანეთი შევიყვაროთ და გავამხნევოთ. უნდა შევძლოთ ხვალინდელი პრობლემების მთელი სიგრძე-სიგანით გათავისება ჩვენი ეროვნული ვინაობის ბოლომდე გაცნობიერება.

ახლა, როგორც არასდროს საჭიროა ნებისმიერმა მოქალაქემ თავისი ქვეყნის ბედის გამგებლად, ჭირისუფლად იგრძნოს თავი. მარტო უზენაესი საბჭო, მისი ძალისხმევა არ იქნება საკმარისი, თუ მთელი ქართველობა აღმშენებლობის ცეცხლით არ დაიმუხტა და თავისი პარლამენტის გარშემო არ დადგა. ჩვენ მოველით მისგან გონივრულ გადაწყვეტილებებს, ჭეშმარიტ კანონებს, ამდაგვარ დემოკრატიულ მექანიზმებს, რომელთა მეშვეობით უმოკლეს დროში დაიძლევა ავადსახსენებელი ავტორიტარული ბორკილები, ბიუროკრატიული მართვის სისტემა. ამიერიდან მას ჩაენაცვლება მმართველობის დემოკრატიული სტრუქტურები. და ის იქნება გარანტია პიროვნების თავისუფლების, პირადი ინიციატივის, შემოქმედების გაფართოებისა. ხვალინდელ საქართველოში უცილოდ დამკვიდრდება ისეთი პირობები, როცა მატერიალური, თუ სულიერი წარმოების სფეროში გადამწყვეტ ბერკეტად მოგვევლინება არა ზემოდან დაშვებული დირექტივა, არამედ ინდივიდის ან ინდივიდთა ჯგუფის ნება და ფანტაზია, ძიებისა და თვითინიციატივის უნარი. ჩვენ ერთიანი ძალისხმევით უნდა ავაშენოთ ახალი საქართველო, სადაც თავისუფლად იფუნქციონირებს წარმოებისა და საკუთრების სხვადასხვა ფორმა, ურთიერთობებს დაარეგულირებს მისი უზენაესობა—კანონი, დამკვიდრდება სოციალური გარანტიები. და რაც ყველაზე არსებითი და მნიშვნელოვანია, კანონიერ უფლებებში აღდგება ტოტალიტარული რეჟიმის მიერ გათელილი მორალური ნორმები, ზნეობრივი ღირებულებები.

მაშ, მივესალმოთ ამ განახლებას, საქართველოს ბედნიერ მყობადს.

მომენტის კარნახით

## როგორი დეპუტატი მინდა ვიხილო?

ღრმად მჯერა და ამ რწმენას ვერაფერი შემარყევს: საქართველოს ახლადარჩეული უზენაესი საბჭო ღირსეული მამულიშვილების ჭეშმარიტი საკრებულო იქნება. და თუ ახლა კითხვას დამისვამენ: როგორი დეპუტატი გსურს იხილო ახალ პარლამენტში? მე ვუპასუხებ:

ისეთი დიდსულოვანი მამულიშვილი, რომელიც სრული ანტიპოდი იქნება ყველა ჯურის ბიუროკრატისა, თუ კომფორმისტისა. იქნება პიროვნება, ვინც ქვას მკოდავს რუდუნებით, თავისი ფიზიკური და სულიერი ძალების სრული შეწირვით მოემსახურება თავისი ბედკრული სამშობლოს აღორძინებას.

მე ვისურვებ ყოველი დეპუტატი იყოს თხემით ტერფამდე პროფესიონალი და გულუშიშარი პატრიოტი, რომელიც მკერდით გადაუდგება ყველა იმ ძალას, ვინც საქართველოს წინსვლასა და აღმავლობას ხელს შეუშლის.

მივესალმები ისეთ დეპუტატს, რომლის არსებაში პატიოსნება და პრინციპულობა, ობიექტურობა და სამართლიანობის გრძნობა გენეტიკურად იქნება ჩადებული, როგორც ღვთიური მადლი.

მან შეიძლება ბევრი რამ აპატიოს, შეუნდოს კაცს, როგორც ჭეშმარიტმა ქრისტიანმა, ტოლერანტმა, მაგრამ არ დაუშვებს კომპრომისს, როცა საქმე ეხება უზნეობას.

პარლამენტში მსურს ვიხილო პიროვნება, ვინც შეძლებს გონითი საწყისისა და ემოციების გონივრულად შეხამებას. ვინც მომხრე იქნება იმისა, რომ ეროვნული მოძრაობა ნაციონალისტურ ისტერიაში არ გადაგვეზარდოს, ივანე კარამაზოვისეული „ყველაფერი ნებადართულიას“ ფილოსოფია ყოვლად მიუღებელი იქნება მისთვის.

მივესალმები ისეთ დეპუტატს, ვინც ცალკეული პოლიტიკური ძალების ურთიერთდაპირისპირებულობასა და ქიშპობაში ეროვნული ერთიანობის დამანგრეველ საწყისებს ხედავს და ყოველნაირად ეცდება წინ აღუდგეს ექსტრემიზმისა და ძალადობის ნებისმიერ გამოვლინებას. იგი, როგორც ჭეშმარიტი ინტელექტუალი, უნდა გაურბოდეს იდეოლოგიური უზურპაციის მცდელობას და ესწრაფვოდეს თანხმობას, კონსენსუსს.

იგი მე მესახება კონფუცის მიმდევრად, რომლის დევიზი უნდა იყოს: საზოგადოების ჰუმანიზაცია და ეტიკეტი.

ღრმად მჯერა, ჩემს მიერ არჩეული დეპუტატი თავის სიტყვას უცილოდ იტყვის ახალ პარლამენტში. იგი მაქსიმალურად შეუწყობს ხელს ცხოვრების განახლებას, დემოკრატიული მექანიზმებით რესპუბლიკაში თვითმმართველობის დამკვიდრებას.

ზ. ცხონდია.

პირველი მრავალპარტიული არჩევნებისადმი ინტერესი დიდია ზუგდიდში. ამას მოწმობდა 28 ოქტომბერს ამომრჩეველთა მასიურად გამოცხადება საარჩევნო უბნებში და ხმის მიცემის კამპანია.

კითხვა დავუსვით ზოგიერთ ჩვენს თანამემამულეს, რას მოელით ახალი უზენაესი საბჭოსგან—ერთი ხმის მიცემის შემდეგ?

პირველი მრავალპარტიული არჩევნები: რეზონანსი

## ხვალინდელ დღეს იმედით ვუმზერთ

ზ. გუგუშვილი — პენსიონერი პედაგოგი:

მწამს რომ უზენაესი საბჭო ღირსეული მამულიშვილებისაგან დაკომპლექტდება. ეს კი საფუძველია იმისა, რომ მან შეიმუშაოს და დაამტკიცოს ის საკანონმდებლო აქტები, რომელთა მეშვეობით ცხოვრება საქართველოში სულ სხვანაირად წარიმართება. ვიმედოვნებ, რომ თავი დაედგმება დანაშაულობათა წინააღმდეგ მუშაობის გააქტიურებას. გაჯანსაღდება თვით არსებული სისტემის მიერ დამახინჯებული ურთიერთობანი, ცხოვრების წესი, ღირებულებანი. უმთავრესი მაინც ისაა, რომ წერტილი დაესვას ბოროტებას, ძმათა კვლას, ხმაასტიკეს.

გ. გულუა—პოეტი: საქართველოში უნდა აღდგეს თავისუფალი მეწარმეობა, მიწათმოქმედების ტრადიციული ფორმები. ვფიქრობ, არ დაყოვნდება მიწისა და საკუთრების შესახებ კანონების მიღება, რაც ჩვენს მრავალტანჯულ ათა[illegible]ი ბორკილით ხელ-ფეხშეკრულ სოფლის მეურნეობას ახლებურ გაქანებას მისცემს. საქართველოს ძლიერების ხერხემალი ოდითგანვე გლეხკაცი იყო და მჭერი მის არსებობას და შრომას კვლავაც დაედება ფასი, აქეთკენ მიმავალი გზა კი საკუთრების სხვადასხვა ფორმებზე, პირად ინიციატივაზე გადის.

კ. ფიფია—სამგზავრო სატრანსპორტო საწარმოს განყოფილების გამგე: რატომღაც ისეთი წარმოდგენა მაქვს, რომ ახლადშემდგარი ეროვნული პარლამენტი თვისობრივად სრულიად ახალ ცხოვრების წესს, ურთიერთობათა სისტემას დაამკვიდრებს. ბიუროკრატიულ - ადმინისტრაციული სისტემის მიერ დეფორმირებული ყოფისა და ცნობიერების შეცვლა, რა თქმა უნდა, მარტო სამართლებრივი ნორმატივებით აღარ მოხერხდება. ძალზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული ყოველი ჩვენგანის ნებისყოფაზე, თვითშეგნებასა და თვითდისციპლინაზე. თავისუფლების იდეა უნდა გადაიზარდოს ერთიანობის იდეაში, რათა შევძლოთ უნუგეშო მდგომარეობაში მყოფი ეკონომიკის ამოწევა.

შ. ლურწკაია — აბასთუმნის ტუნგის მეურნეობის მთავარი ეკონომისტი: საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებას დღემდე უამრავი ხელისშემშლელი ფაქტორი ეღობება წინ. პირველ რიგში აღსანიშნავი ცენტრალიზებული დაგეგმვის პრაქტიკა. აქედან გამომდინარეობს სხვადასხვა სახის ბიუროკრატიული სალტეები, რაც ეკონომიკური პოლიტიკის სწორად წარმართვის საშუალებას არ იძლევა.

მიმაჩნია, რომ კერძო საკუთრების პრინციპის გონივრულად გააზრებით სასოფლო წარმოებაში მწვანე შუქი ენთება საკუთრების მობილურ ფორმებს—აქციონერულ საზოგადოებას, კოოპერატივებს, იჯარულ სტრუქტურებს და ა. შ. ახალმა უზენაესმა საბჭომ უპირველეს ყოვლისა ამ პრობლემას უნდა მიხედოს. ქართული სოფლის, სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგების აღორძინება მთელი ერის მოღონიერების ქვაკუთხედი უნდა გახდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



იაკობ გოგებაშვილი—150

# დიდი მამულიშვილის ბიუსტი

წლეულს დაბადებიდან 150 წელი უსრულდება დიდ ქართველ მამულიშვილს, ქართული ენის მოჭირნახულესა და სახელოვან პედაგოგს იაკობ გოგებაშვილს. თუ როგორ მიმდინარეობს მზადება ამ ღირსშესანიშნავი თარიღის შესახვედრად, გვესაუბრება საქალაქო საიუბილეო კომისიის წევრი, ქალაქ ზუგდიდის განათლების განყოფილების მეთოდისტი, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი დავით აბსავა.

— თითქმის ორი წელია მიმდინარეობს საიუბილეო თარიღისთვის მზადება, რომელსაც წინ უძღვის არაერთი საინტერესო, მიზანსწრაფული ღონისძიება. განსაკუთრებული გამოცოცხლებაა ქალაქის საშუალო სკოლებში, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ეწყობა ლიტერატურული საღამოები, ინსცენირებანი იაკობის ლიტერატურული ნაწარმოებებისა, ფოტო-სტენდები, წიგნების გამოფენა, თეორიული კონფერენციები. ქალაქის დაწყებითი კლასების მასწავლებელთა დიდი ჯგუფი სტუმრობდა სახლ-მუზეუმს სოფელ ყარიანში, სადაც დაიბადა და ცხოვრობდა „დედა ენის" ბრძენი ავტორი.

— რას გვეტყვით ზუგდიდში იაკობ გოგებაშვილის ბიუსტის დადგმის თაობაზე?

— 1988 წელს, მასწავლებელთა კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას მე წამოვაყენე იდეა, რომ ზუგდიდში დადგმულიყო იაკობის ბიუსტი. ამ წინადადებას დიდებითად გამოეხმაურა ფართო საზოგადოებრიობა, მოსწავლე ახალგაზრდობა, ქალაქის საბჭოს აღმასკომი. ამ უკანასკნელმა გამოჰყო ბიუსტის შექმნა-დადგმისათვის საჭირო თანხები. სადღეისოდ ბიუსტი, რომლის ავტორებია არიან არქიტექტორი, პროფესორი ვახტანგ დავითაია და მოქანდაკე რევაზ ხასია, მზადაა და იგი მალე დაიდგმება ქალაქის № 1 სამუსიკო სკოლის შენობის გვერდით, რუსთაველისა და კოლხეთის ქუჩების გადაკვეთასთან. იქვე მოეწყობა დეკორატიული, მცირე არქიტექტურით დამშვენებული სკვერი, გამოიყვანენ „იაკობის წყაროს" და სხვა.

გათვალისწინებულია, ამა წლის ნოემბრის თვეში ჩატარდეს იაკობ გოგებაშვილის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი დიდი საიუბილეო ღონისძიება. ზუგდიდი ღირსეულ პატივს მიაგებს სულმნათ იაკობს.

ესაუბრა ჯ. არქანია.

# ჰოლივუდის ვარსკვლავები — ზუგდიდში

დილის შვიდი საათისათვის მზე ამოიწვერა გრიგოლიშის ფერდობებზე. ღვინობისთვის მეწამულ ფერებს შემატა სხივი და სითბო. „ვერტფრენის" მოტორის გუგუნზე წამოიშალა ცხოველთა სამყარო. ამ დღეს ბუნების ქომაგის — მურმან როგავას ოჯახურ ნაკრძალს სტუმრობდა ჰოლივუდის ვარსკვლავები: ჯეინ ფონდა და კეთილი ნების თამაშების ინიციატორი ტერნერი.

სპეცტანსაცმელში გამოწყობილი ამერიკელები მხნედ მიიწევდნენ აღმართზე რცხილნარში სტუმრებს მიართვეს გამამხნევებელი სასმელი — ყავა. კავკასიურმა ირმებმა, ფაფარინმა ცხვრებმა, ლამებმა და სხვა ნადირ-ფრინველმა დიდრონი თვალები შეაფეთეს სტუმრებს. კავკასიურ ხალიან ირმებს თავისი ნაზი თათებით ეფერება ჯეინი. აღტაცებულია და საჯაროდ აცხადებს, რომ თავის ქვეყანაში ასეთი ინდივიდუალური ნაკრძალი არ ეგულება. 45 წუთი მოუნ... ნაკრძალის შემოვლას, ნადირ-ფრინველის მონახულებას.

სტუმრებს გზა სვანეთისაკ... ულევით. „ვერტმფრენი" მზადა... მაგრამ მათ არ ემშვიდობებ... მასპინძელი და ხმამაღლა აცხ... დებს: თუ მოგეწონათ ნაკრძალ... თუ მოგეწონათ საქართველ... თქვენ მობრუნდებით ჩემს ოჯა... ში.

სტუმრები ეთანხმებიან ამ წ... ნადადებას. სამ საათზე, ახ... დაეშვა „ვერტმფრენი". საგანგ... ბო კოლხურ სუფრაზე დაილოც... სტუმრებმა და ქართველ ხალ... უსურვეს ერის დამოუკიდებლ... ობისათვის ბრძოლაში წარმატ... ბები.

ოთხი საათი დაყვეს კოლხ... სოფელში სტუმრებმა, ნადირ-ფრინველთა მოტრფიალე ამერი... ელმა მეგობრებმა, მშვიდ... ბა და ღმერთის მფარველობ... უსურვეს ქართველ ხალხს.

# საჩუქარი

საქართველოს კულტურის სამინისტროს გადაწყვეტილებით ქ. ბათუმის საქართველოს რევოლუციის სახელმწიფო მუზეუმს შეეცვალა სახელწოდება და მას ეწოდა „საქართველოს ეროვნული მოძრაობის მუზეუმი".

ჩვენს მუზეუმში აისახება ბოლშევიკური რუსეთის მიერ დემოკრატიული საქართველოს ანექსია, ქართველ პატრიოტთა 1924 წლის აჯანყება, ამავე წლის და 1937 წლის გენოციდი.

ჩვენში ეროვნული მოძრაობა 1953-54 წლებში (სტალინის სიკვდილის შემდეგ) დაიწყო. ამ დროისათვის ზვიად გამსახურდიამ სკოლაში შექმნა პატარა ორგანიზაცია „გორგასლიანი", რომელიც მიზნად ისახავდა თავისუფალი საქართველოს ხილვას.

ეროვნული მოძრაობის ბოლო ეტაპი ჩვენი საუკუნის 70-იანი წლებიდან დაიწყო. რეპრესიებმა ვერ შეაჩერა ქართული ეროვნული და სამართალდამცველი მოძრაობა. ე. წ. „გარდაქმნის" შემდეგ მოძრაობამ ახალი ფორმა შეიძინა. შეიქმნა არაფორმალური გაერთიანებები, რომლებიც მიუხედავად იმისა, რომ მიზანი ერთი აქვთ—საქართველოს დამოუკიდებლობა, მოქმედებითა და სტრუქტურით განსხვავებულნი არიან.

მამულისადმი თავდადება გამოიხატა 9 აპრილს. მუზეუმის ექსპოზიციაში აისახება ამ დღის სისხლიანი ტრაგედია და მის

## შეიქმნა ეროვნული მოძრაობის მუზეუმი

შემდგომ გამოღვიძებული ქართული—ეროვნული მოძრაობის აღმავლობის გზა.

საქართველოს ეროვნული მოძრაობის მუზეუმში ექსპოზიციის მოსაწყობად დიდძალი მასალაა მოსაპოვებელი. ამ მიზნით მუზეუმიდან რაიონებში მივლინებული იქნებიან მეცნიერ-მუშაკები.

ამ საშვილიშვილო საქმეში უნდა ჩაებას ზუგდიდის რაიონის საზოგადოებრიობა. მუზეუმს ეყოლება კორესპონდენტები.

უნდა შეიკრიბოს საბუთები, ეს იქნება კერძო პირთა წერილები თუ რაიმე დოკუმენტები, როგორიცაა მაგალითად ბატონის წყალობის წიგნი, ნასყიდობის, თავის დახსნის სამედიატორო სასამართლოს განჩინებები, სხვადასხვა შინაარსის ღერბიანი ქაღალდები და სხვა.

უნდა შეიკრიბოს ქართველი ერის განმათავისუფლებელი მოძრაობის ამსახველი ძველი ხელნაწერები, ისტორიული თხზულებები, საეკლესიო წიგნები, ხატები.

საჭირო იქნება ჩაიწეროთ ძველი ამბები, გადმოცემები, მოგონებები, ომში თავგამოჩენილ გმირთა და საგმირო საქმეთა შესახებ და სხვა.

უნდა შევაგროვოთ 1801 წლიდან ხმარებაში გამოყენებული ოსმალური, რუსული და ქართული ფულის ნიშნები, საბრძოლო იარაღები.

საჭიროა შეიკრიბოს მოგონებები, მემორიალური ნივთები, დოკუმენტები, ფოტოსურათები, პრესის ცნობები, წიგნები დამოუკიდებელი საქართველოსათვის მებრძოლებზე, დემოკრატიული საქართველოს დროინდელ პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეებზე, ქართულ გვარდიაზე, 1924 წლის აჯანყებებზე, ემიგრანტთა, 1937 წლის რეპრესირებულთა და სხვათა შესახებ.

ერთდროულად შევაგროვოთ მასალები საქართველოში მოქმედი პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივი გაერთიანებების, ორგანიზაციების მუშაობის შესახებ, რელიგიური მოძრაობის აღმავლობის შესახებ. რაიონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში უნდა დამუშავდეს თემები: „რაიონის ეროვნული მოძრაობის ისტორიიდან", „ეროვნული მოძრაობის აღმავლობა რაიონში".

ველით თქვენს გამოხმაურებას, წერილობით ცნობებს. ხელი შევუწყოთ ქართველი ერის განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიის ამსახველი მასალის შეკრებას, მუზეუმის ექსპოზიციისა და სამეცნიერო ფონდის გამდიდრებას.

შეგიძლიათ მოგვმართოთ მისამართზე: ბათუმი, გორკის ქუჩა № 8. საქართველოს ეროვნული მოძრაობის მუზეუმი.

ლამარა ბულორდავა,
საქართველოს ეროვნული მოძრაობის (ბათუმის) მუზეუმის მეცნიერ-მუშაკი.

გთხოვთ ჰონორარი გადარიცხოთ მერაბ კოსტავას სახელობის ფონდში.

# ახალი ფირფიტები

ამ დღეებში საკავშირო ფირ... „მელოდიამ" გამოუშვა ახალ... ფირფიტები, სადაც ჩაწერილ... ხელოვნების ქართველ ოსტატ... ნაწარმოებები. ერთ-ერთი ახალ... ფირფიტა განეკუთვნება კომპოზ... იტორ რ. გაბიჩვაძეს—„სუიტ... № 1 და „სუიტა № 2", ბალეტ... იდან „ჰამლეტი".

ხალხური მუსიკის მოყვარულ... ნი შეხვდებიან ჯემალ ჭკუასელ... სიმღერისა და ცეკვის ანსამბლ... მოუსმენენ კახურ, მეგრულ, ს... ნურ მელოდიებს. მეტად საინტ... ერესოა ფირფიტა—„ქართულ... საეკლესიო საგალობელი", რომ... ლსაც ასრულებს მამაკაცთა ან... სამბლი ნოდარ კიკნაძის ხელმძღვ... ნელობით.

ნორჩი ქართველი მსმენელ... მიიღებენ რ. ინანიშვილის ზღ... პრებს.

ეს ფირფიტები დიდ სიხარულ... მოუტანს როგორც უფროსებ... ასევე ნორჩებს.

გ. ხოშტარია.

## არის პრობლემებიც...

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ქალაქის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატის დირექტორად პედაგოგიურმა კოლექტივმა აირჩია ნინო ავალიანი, რომელიც მონდომებით შეუდგა საქმეს. დღეს ინტერნატში გახსნილია მეცხრე კლასი, რაც გარანტიაა იმისა, რომ ინტერნატი მიიღებს საშუალო სკოლა-ინტერნატის სტატუსს.

სკოლა-ინტერნატში შექმნილია პირობები ბავშვთა სწავლა-აღზრდისათვის. არის პრობლემებიც, რომელთა გადასაწყვეტად ერთად გვიხდება მუშაობა მშობლებს და პედაგოგიურ კოლექტივს.

მ. სხულუხია,
ნ. ზარანდია,
მშობლები.

# ნადი, ნოდი, მამითადი

სულხან-საბა ორბელიანი ლექსიკონში „სიტყვის კონა", გვიხსნის: „ნადი არს მუშაკნი ერთად შეყრილნი". ნადი, ნოდი, მამითადი უსასყიდლო, უანგარო ურთიერთ დახმარების მადლიანი ტრადიციაა. „კაცი კაცითაო", ამბობდნენ ქართველები და ღმერთთან ერთად ერთმანეთის იმედი ჰქონდათ. ნადური შრომა ადამიანთა ურთიერთშეხვედრის სიხარულს იწვევდა. ნადი სიკეთის სილამაზეა, უანგარობის, დახმარება—თანადგომის, ბუნებრივი კულტურის მაღალი ეთიკური გამოვლენაა. ნადური დახმარება ოჯახისადმი საქართველოს ყველა კუთხეშია გავრცელებული. ამ დახმარებას უწევდნენ და უწევენ უმთავრესად ღარიბ-ღატაკ, დაბეჩავებულ, შეუძლო, ქვრივობლიან ოჯახს. ამ მხრივ საინტერესოა რაფიელ ერისთავის ლექსი „თინიას მამითადი". ლექსის მიხედვით, თინა დაქვრივებული, ობოლი ბავშვების მეპატრონე, ღარიბი ოჯახის მესაჭეა:

„ქვრივ—ოხერს, ბეჩავ თინიას
ჰყავს ერთადერთი შვილია,
ბაწია, წვითა და დაგვით,
ვაებით გამოზრდილია".
და ასეთ გაჭირვებულს—
„მამითადი ჰყავს თინიას,
დღეს არის მისი ლხინია,
ციბრუტივითა ტრიალებს
საწყალობელი თინია!"..

თინამ ჩამოუარა სოფელს, „ყველას დაელრიჯა" შეეხვეწა დახმარებისათვის. „დილაადრიან მიადგნენ კარზე რჩეული ბიჭები, „პოოპუნათი", კიჟინით მოდგნენ ქვრივის ყანასა, არ შევხვედრივარ მამითადს მე არსად ამისთანასა". თინა სადილის მომზადების თადარიგშია: „მოუტანია ქვადები, მაწონი, ორი დიდალი მუშისთვის დანამზადები. „სცხვენიან, ღვინო არა აქვს საწყალს, მაგრამ ზედიზედ უზიდავს მამითადს წყაროს ცივ წყალსა".

ნადის დროს ერთად თავშეყრილ ხალხს უსიმღეროდ რაღა გაძლებინებდა და მღეროდნენ „ნადურს". დღემდე ოთხხმიანი ნადურებია გავრცელებული. მაგალითად, გურია—აჭარაში ეს ოთხხმიანი ორპირულია. ე. ი. ორადაა დაყოფილი, მას 8 კაცზე ნაკლები ვერ იმღერებს. ... მოდის რომ, ნადი რომ მოეწვ... ვინმეს, სულ მცირე 8 კაცი მაინ... უნდა მოსულიყო, წინააღმდეგ შე... თხვევაში სრულყოფილ ნადურ... ვერ იმღერებდნენ. მუშაობას შე... ოლილი ნადი მღეროდა:

„მიმინოსა მწყერი უყვარს
შევარდენსა ნადირობა,
თუ მასპინძელს ნადი უყვარს,
იწი კია სადილობა".

ასე უმღეროდა ნადი მასპინძელ... მსგავსი ნადობა და მისი სპეციალურ... სიმღერები მხოლოდ ჩვენშია აღმო... ენილი, არც ერთ ქვეყანას არ აქვ...

ეს ჩვენი მადლიანი, უანგარო ტრ... დიცია დღესაც გრძელდება, დღეგრ... ძელობა სიკეთე—ურთიერთდახმარე... ბის ამ ჩინებულ ადათ-წესს!

ჯანიერ როგავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## არენდულ შრომას — ფართო გზა!

# საწარმო, მიღწევები, პრობლემები

„საქაგრომრეწვის" ზუგდიდის ავტოკოლონა №2682 რაიონში ხუთი წელია ფუნქციონირებს. იგი შეიქმნა „საქსოფლტექნიკის" №8 ავტოსატრანსპორტო საწარმოს ბაზაზე. ამჟამად აქ 140 ერთეულ სატრანსპორტო საშუალებას ითვლიან 820 ტონა საერთო ტვირთამწეობით.

მიმდინარე წლის 9 თვეში შემოსავლის გეგმა შესრულებულია 109,4 პროცენტით. მიღებულია 54 ათასი მანეთის ზეგეგმიური მოგება, გაწეულია მოსახლეობაზე 22,1 ათასი მანეთის ფასიანი მომსახურება.

საწარმოს ტრანსპორტი ძირითადად დასაქმებულია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის, მეცხოველეობისათვის საკვების, ჩაის მრეწველობის პროდუქტების, საწვავ-საცხები მასალების ტრანსპორტირებაზე. ამასთან ყოველწლიურად აქტიურად მონაწილეობენ აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში — გურჯაანის, ქართლის რაიონებში — წალკის, ბოლნისის და სამხრეთ საქართველოში კარტოფილის ტრანსპორტირების საქმეში.

ავტოკოლონაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა შრომის დისციპლინის ამაღლების საკითხს. მკაცრი კონტროლია დაწესებული მანქანების ტექნიკურ გამართულობაზე. ხაზზე გასვლის წინ ყველა მძღოლი ადგილზე გადის სამედიცინო შემოწმებას.

მშრომელთა სამსახურშია სასადილო, საშხაპე, კლუბი. ყურადღებით სარგებლობს სპორტი. ბოლო ორი წლის მანძილზე აქ მოეწყო ფრენბურთის, ხელბურთის, ჩოგბურთის და ფეხბურთის მოედნები.

ფეხბურთის სექციაში გაერთიანებულია 80-ზე მეტი ახალგაზრდა. შექმნილია და ინტენსიურად ვარჯიშობს ბავშვთა ასაკობრივი ფეხბურთის გუნდი. მათგან ერთ-ერთმა, 1977 წელს დაბადებულმა ჭაბუკებმა წელს პირველი ადგილი დაიკავეს ქ. ზუგდიდში ჩატარებულ ზონალურ შეჯიბრებაში და გავიდნენ დასკვნითი შეჯიბრების ფინალში.

მეორე ასაკობრივი ჯგუფი 1976 წელს დაბადებულები მონაწილეობენ საქართველოს პირველობაზე — „სიჭაბუკის თასზე". პირველი წრის მატჩები ჩაატარეს დაუმარცხებლად და ლიდერობენ შეჯიბრებას.

**საწარმოს ხელმძღვანელმა გურამ გაბისონიამ** ჩვენთან საუბარში გულახდილად ილაპარაკა დღემდე გადაუჭრელ პრობლემებზე, რაც სადღეისო ნომერ პირველ ამოცანად დგას საწარმოში. — პირველი, რაც გვაფიქრებს, — თქვა მან, — ეს არის მომავალი თანვრიდან ავტოკოლონის მთლიანად გადასვლა შრომის არენდულ ფორმაზე, კოლექტივს გადაწყვეტილი აქვს ავტოკოლონა ათი წლის ვადით აიღოს იჯარით და გამოისყიდოს მთლიანად. ეს მეტად საპასუხისმგებლო და ამასთან საჭირო საქმეა.

მეორე: წლობით ვერ გადაწყვიტეთ კოლექტივის მოთხოვნა — 8-10 ჰექტარი მიწის გამოყოფის თაობაზე დამხმარე მეურნეობის მოსაწყობად, რაისაბჭოს აღმასკომის წინაშე მესამე წელია ვსვამთ საკითხს, მაგრამ იგი დღემდე გადაუჭრელია.

გვიჭირს სათადარიგო ნაწილებით, საბურავებით, საწვავით მომარაგება და სხვა.

ავტოკოლონის კოლექტივი, რომელსაც გააჩნია შრომის მდიდარი ტრადიცია, გადასაჭრელ საკითხებსაც დიდებითად დაძლევს.

ზ. ბზულაძე.

# ვიყოთ სამართლიანნი

სამედიცინო მეცნიერების ყველა დარგს თავისი დამახასიათებელი პრინციპები აქვს. ექიმის მუშაობა, განსაკუთრებით ქირურგიული ოპერაციების დროს დიდ ფიზიკურ და ფსიქიკურ დატვირთვასთანაა დაკავშირებული. მაგრამ არის შემთხვევები, როცა ყოველგვარი ცდის მიუხედავად ექიმი ვერ აღწევს სასურველ შედეგს (ავადმყოფის დაგვიანებით მოყვანის, თვითმკურნალობის და სხვადასხვა მიზეზების გამო), ასეთ დროს საჭიროა შეგნების მაღალი დონე, მიმტევებლობის უნარი. მართალია, დაუდევრობის თუ გულგრილობის შემთხვევაში ექიმს არ ეპატიება დანაშაული, მაგრამ ისიც უნდა გაითვალისწინონ ავადმყოფის პატრონებმა, რომ მის ავადმყოფს ყველაფერი გაუკეთეს სიცოცხლის შესანარჩუნებლად. მაგრამ სამწუხაროდ ახე როდი იქცევიან ზოგიერთები. თუ ავადმყოფმა ვერ გადაიტანა, ან ოპერაციას მოჰყვა გართულებები, მიუხედავად ექიმებისა და მედიცინის დების უძილო ღამეებისა ავადმყოფის პატრონები შურისძიების ფორმებსა და ხერხებს მიმართავენ. სწორედ ასეთ დროს გვმართებს თავის შეკავება. ნუ ავყვებით ჭორს, მითქმა-მოთქმას თითქოს ავადმყოფს მეტი ნარკოზი მიეცა, ან დააგვიანეს ოპერაციული ჩარევა და სხვა. ვიყოთ გონიერნი და თვითონვე განვსაჯოთ: რომელ ექიმს უნდა ავადმყოფი დაკარგოს, ან არ გაუწიოს პირველი დახმარება. მაშ რატომ ვდებთ ხელაღებით ბრალს ქირურგს, რომელმაც ვერ უშველა განწირულს?

ჩემი გულისთქმაა: ვიყოთ სამართლიანნი, რას ვერჩით საავადმყოფოს კარ-ფანჯრებს, დან აშაული ხომ არის, როცა ექიმისაკენ ხაცემრადაც კი იწევიან, იგინებიან.

არ იყო ასე ადრე. ხალხს სწამდა ჰიპოკრატეს ფიცის ერთგული ექიმებისა, მაშ რამ დაგვაკარგა დღეს ეს რწმენა?

ერს მაღალკვალიფიციური ექიმები სჭირდება. არიან ჩვენთანაც ნიჭიერი, მონდომებული ექიმები. საქმე ის არის, რომ ჩვენ უნდა ვიწამოთ მათი, ღმერთი იყოს მათი და ჩვენი მფარველი.

შ. პერტია,

შრომის ვეტერანი, მეორე ჯგუფის ინვალიდი.

### წარსულის ფურცლებიდან

# აკაკი ხოშტარია

აკაკი მეთოდეს ძე ხოშტარია 1878 წელს დაიბადა სუჯუნაში (ამჟამად აბაშის რაიონი). მომავალი საზოგადო მოღვაწის, მრეწველისა და მეცენატის მამა, მღვდელი მეთოდე ხოშტარია სამეგრელოს დედოფლის ეკატერინე ჭავჭავაძის მდივნის მოვალეობასაც ასრულებდა. იმპერატორ ალექსანდრე მეორემ და მისმა სატრაპებმა აიძულეს გულზვიადი მთავრინა, რომ შვილებიანად პეტერბურგს გამგზავრებულიყო და ამ ნაცადი ხერხით გაეუქმებინათ სამთავრო.

პეტერბურგს მიმავალი დედოფლის მისიაში იმყოფებოდა ერთგული კარისკაცი მეთოდე ხოშტარია, რომელიც მთავრინას შვილებს ქართულ ენას ასწავლიდა უცხოეთში. მას მარტვილის სასულიერო სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული და მამამისიც მღვდელმსახური (დეკანოზი) იყო.

ორთავიანი არწივის ტყვეობაში ისედაც შეწუხებულ და მბორგავ დედოფალს ახალმა უბედურებამ აუცრემლა თვალები. ჩრდილოეთის მაერმა გამანადგურებლად იმოქმედა ნორჩზე და საწუთროდან გულსაკლავად წავიდა უმცროსი შვილი თამარი. დედოფლის სურვილით (საქართველოში გამომგზავრების უფლება მას არ მისცეს) მაზლმა კონსტანტინე დადიანმა და მეთოდე ხოშტარიამ ბედკრული თამარის ნეშტი სამშობლოში ჩამოასვენეს და მამის, დავით დადიანის გვერდით დაკრძალეს მარტვილის მონასტერში (სერგი ჰილაიას „ეკატერინე ჭავჭავაძის" მიხედვით).

კონცესიონერის და ქველმოქმედის აკაკი ხოშტარიას დედა — ვარდიკო ავალიანი ახლაც კარგად ახსოვთ სუჯუნელ ხანდაზმულებს. იგი შვილების დიდებული აღმზრდელი, განათლებული, შემწყალე და გულუხვი ქალი ყოფილა. თანასოფლელთა ნაამბობი ჩავიწერე და სათუთად ვინახავ, რისთვისაც შურა ხოშტარიას, თამარ და პაშა გამზარდიებს მადლობას მოვახსენებ. აკაკი ხოშტარიას ოდესაში მიუღია უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო განათლება დეკორატორის სპეციალობით, მას შავიზღვისპირა ქალაქების, ბაღების და ბულვარების ხეივნების მშენებლობაში გამოუჩენია თავი, რითაც პროფესიული ვალი პირწმინდად მოუხდია (იხ. ლ. მიქელაძე „ლიტ. საქართველო" 1989 №10).

ფოთში მუშაობის პერიოდში აკაკი ხოშტარიას ადგილობრივი მკვიდრის, კომერსანტისა და ბანკის დირექტორის ქალიშვილი მინადორა ეგნატეს ასული თურქია გაუცვნია და მასზე დაუწერია ჯვარი. შეიძლება თხრობა დამერღვეს, მაგრამ აქ მინდა მცირე მოგონება შემოგთავაზოთ. სუჯუნაში მაშინ ვსწავლობდი, როცა ეკლესიას და სამღვდელოებას ომი გამოუცხადეს. ახლო მახლო სოფლებიდან მხოლოდ სუჯუნის განთქმული წმინდა გიორგის ეკლესია გადაურჩა ქოლიკონს, რომელსაც მკვიდრი მოსახლეობა აკაკი ხოშტარიას სახელს უკავშირებდა, რადგან იგი გულმხურვალედ მეურვეობდა მას. გადაუხურავს, ძვირფასი ხატებით გაუმდიდრებია და სხვა. ცნობილია, რომ ტაძარი მეთვრამეტე საუკუნეში აუშენებია ანტონ ქუნდიდელს. ერთ დროს სუჯუნა ქუნდიდელის საზამთრო რეზიდენციაც ყოფილა (ვიქ ელიავა. „აბაშისა და ტეხურის ხეობების ისტორიული ღირსშესანიშნაობანი" 1971, გვ.14).

ჩვენს დროში საყდარს მრევლი არ ეკარებოდა, მის თავზე მოლაპლაპე ჯვარს შაშხანებით ცხრილავდნენ და მაუზერისტები ხატებს სამიზნედ იყენებდნენ. ტაძარი ბოქლომით იყო გამოკეტილი, ხალხი ამბობდა: „შიგ აკაკის დედაა დასაფლავებული. — (ეს სინამდვილეა. — შ. გ.), მას დიდი განძი ჩაატანეს, რაც მთავარია ცხედარს ოქროს ქოშები აცვიაო".

თემის შუაგულში იდგა ხოშტარიას სასახლე ხახადაღებულ ლომებით, რომელიც 1915 წელს უცხოელ ოსტატებს აუგიათ. მშენებლობაში ადგილობრივი გლეხობაც იღებდა მონაწილეობას და ქველმოქმედი პატრონი სიძუნწეს როდი იჩენდა მათ მიმართ. მერე სკოლას გადასცა ეს შენობა და თაობები აღიზარდნენ მის ჭერქვეშ. გარდაქმნამ ტაბუ მოხსნა დიდი ქველმოქმედისა და მრეწველის სახელს. მასზე „ლიტერატურულ საქართველოში" (1989 წ. №40), „ზარია ვოსტოკაში" (21 მარტი, 1990 წ). „ნაკადულში" (1990, №6) საყურადღებო წერილები დაიბეჭდა.

ფოთში ბევრჯერ ვყოფილვარ. აქ უფრო მეტად ვგრძნობ ჩვენს დიდებულ წარსულთან სიახლოვეს, მგონია, რიონისა და შავი ზღვის ნაპირებთან ძველ კოლხელებს შევხვდები და გამოვესაუბრები, რომლებმაც მსოფლიოში გაუთქვეს სახელი ამ პატარა მიწას, ისინი, ალბათ მეტად გონიერნი და ჭკვიანები იყვნენ, თორემ უჭკუოებსა და უგუნურებს აკადემია რა ოხრად უნდოდათ.

ჩემი მასპინძელია ინჟინერი ალბერტ თურქია, რომელსაც ამ ზღვისპირა ქალაქში კარგად იცნობენ. იგი აკაკი ხოშტარიას ერთგულებისა და მშვენიერი მეუღლის მინადორა თურქიას ძმისწულის შვილიშვილია. მინადორას ძმისწულმა, ბაბუა იონამ, რომელიც ალბერტს კარგად ახსოვს შთამომავლობას მამიდისა და ბიძის ოცდათხუთმეტი უნიკალური ფოტოსურათი შემოუნახა. ცხადია, ეს საქმე რომ გამომჟღავნებულიყო იონას ციმბირის აქეთ არ დაედგომებოდა. ეს სურათები აზიისა და ევროპის უდიდეს ქალაქებშია გადაღებული. მწამს, მისი ფოტოპირები დაამშვენებენ აკაკი ხოშტარიას სახლ-მუზეუმს სუჯუნაში, რომელსაც ამჟამად ეყრება საფუძველი.

დამოუკიდებელი საქართველოს არსებობისას თბილისში აკაკისთან რჩეულთა კრებული იყრიდა თავს. მატერიალურად უზრუნველყოფილი, ბუნებით სტუმართმოყვარე მინადორა მათი სასურველი მასპინძელი იყო. ყველაფერი მისცა მას გამრიგემ, მაგრამ დედობრძლობა არა. 1924 წელს, 43 წლის ჯანღონით სავსე ქალი უცბად გარდაიცვალა, მოულოდნელს ვერ ვიტყვით მის სიკვდილზე, რადგან ამბობენ, ვიღაც კარტით მკითხავმა უწინასწარმეტყველა მას მოსალოდნელი უბედურებაო.

ახლახან „ლიტ. საქართველოში" დაიბეჭდა ამერიკაში მცხოვრებ მერაბ კვიტაშვილის წერილები. თურმე ბაქოში ოციან წლებში ნავთობის წარმოების საქმეში კომერციულ საქმიანობას ეწეოდა ქართველთა ჯგუფი. ავტორი აღნიშნავს, „რომ ისინი უბრალო ბიზნესმენები კი არ იყვნენ, არამედ მალე გახდნენ საერთაშორისო ფინანსისტები და ინდუსტრიალისტები". ამ ჯგუფს სათავეში ედგა აკაკი ხოშტარია, იმ დროს საქართველოში ერთად-ერთი ნამდვილი მილიონერი, რომელმაც ნავთობის კონცესიები შეიძინა სპარსეთში და ჩამოაყალიბა ფირმა, სახელად „რუპენტი". ეს იყო ყველაზე დიდი და ფინანსიურად ყველაზე ძლიერი ფირმა, რისი მსგავსიც კი ქართველებს ოდესმე შეუქმნიათ. მისი პრეზიდენტი იყო აკაკი ხოშტარია, ხოლო მისი ხუთი დირექტორიდან ერთ-ერთი მამაჩემი იყო" (იხ. მერაბ კვიტაშვილი „ლიტ. საქართველო" 14 სექტემბერი, 1990 წ. „თეირანის კონფერენცია").

ბრძენია ხალხი, იგი დიდებულად არჩევს მტერსა და მოყვარეს. აკაკი ხოშტარიას არ ივიწყებენ თანასოფლელები, რადგან ის ამ კუთხის სახახელო შვილად მიაჩნდათ წარსულში და მიაჩნიათ დღესაც. არ ივიწყებენ, ვინაიდან დამშეულ საქართველოს პურს უგზავნიდა, ათეულ ნიჭიერ ახალგაზრდას უმაღლეს სასწავლებელში თავის ხარჯზე ასწავლიდა, მთელი თავისი ქონება, ფაბრიკა-ქარხნები ქართველ ხალხს დაუტოვა. მას იცნობდა დიდი ილია, აკაკი, ნიკო ნიკოლაძე, დუტუ მეგრელი (მკვიდრი იყო).. ფიზიკურად და სულიერად მშვენიერ ადამიანს მშვენიერება უყვარდა და საზღვარგარეთ სამუდამოდ მიმავალმა თავისი დიდებული სასახლე, ნაყიდი დ. სარაჯიშვილისაგან, ქართველ მწერლებს გადასცა. გარდაიცვალა 1939 წელს პარიზში.

შოთა გუგუშვილი.

## სპორტი

# სპორტსკოლის ჩემპიონები

გაზეთ „ოდიშის“ ფურცლებზე ხშირად ქვეყნდება რაიონის პროფკავშირული კომპლექსური სპორტული სკოლის აღსაზრდელთა მიღწევებზე, როგორც რესპუბლიკურ, საკავშირო თუ მსოფლიო მასშტაბის შეჯიბრებებში.

ახლახან სპორტულმა სკოლამ ახალი სასწავლო წელი საზეიმო ვითარებაში გახსნა. ჩატარდა მძლეოსნობის, ძალოსნობისა და თავისუფალი ჭიდაობის სექციებში მომეცადინე სპორტსმენების შეჯიბრება. სპორტსმენთა წახალისების მიზნით სპორტსკოლის დირექციამ გადაწყვიტა ჩემპიონები სახეებისდამიხედვით დაეჯილდოებინა ფულადი პრემიით. ამან გარკვეული აჟიოტაჟი გამოიწვია.

100 და 500 მეტრიან დისტანციაზე რბენაში გოგონებს შორის ჩემპიონი გახდა მაკა ჟვანია, მეორეზე იყო ია ხარჩილავა, მესამეზე კი ინგა ლაჭავა. ვაჟ მძლეოსანთა. შორის პირველ ადგილზე გავიდა ირაკლი მაქაცარია, მეორე ადგილი დაიკავა ლექსო ხუბუამ, მესამე — ფილიქს ლაჭავამ. 500 მეტრზე რბენაში გოგონებს შორის მეორე-მესამე ადგილები გაინაწილეს ია ხარჩილავამ და თამუნა ზარქუამ. იმავე დისტანციაზე ვაჟებს შორის ჩემპიონი გახდა ძალოსანი რიყიდან ელგუჯა გოგია, მეორე საპრიზო ადგილი დაისაკუთრა მძლეოსანმა რუსლან როგავამ, მესამე კი დარჩელელმა მოჭიდავემ დათო ესებუამ.

1000 მეტრზე კი პირველი, მეორე-მესამე ადგილები შესაბამისად გაინაწილეს ლექსო ხუბუამ, გიორგი გაგუამ და ფილიქს ლაჭავამ.

სპორტსკოლის ჩემპიონები და პრიზიორები დაჯილდოვდნენ ქების სიგელებითა და ფულადი პრემიით.

მ. ლაშხია,

სპორტსკოლის მეღდა. პირველთანრიგოსანი მძლეოსნობაში.

# ამჯერად მეორე საპრიზო...

ახლახან ქალაქ ზუგდიდში უმასპინძლა საქართველოს ახალგაზრდულ ჩემპიონატს სპორტულ ტანვარჯიშში. საინტერესოა, რომ შეჯიბრებაზე თბილისი წარმოდგენილი იყო 4 გუნდით, ესენია: „დინამო“, „შევარდენი“, „მართვე“ და განათლების სამინისტროს ნაკრები. მათთან ერთად გამარჯვებისათვის იბრძოდნენ აჭარის, აფხაზეთის, ქუთაისისა და ზუგდიდის ნაკრები გუნდები.

უშელავათო პაექრობაში პირველი ადგილი დაისაკუთრა ქალაქ თბილისის ნაკრებმა, მეორე ადგილზე გამოვიდნენ ზუგდიდელი ტანმოვარჯიშეები, მესამეზე აჭარის ნაკრები გუნდი.

სპორტის ოსტატთა შორის საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონობა ახალგაზრდებში მოიპოვა ზუგდიდელმა ზაზა ყალიჩავამ. საინტერესოდ წარიმართა მეორე თანრიგოსანთა შორის მრავალგზის გამარჯვებულ დიმა წითაშვილისა და გოგა სორდიას პაექრობა. დიმა სავალდებულო ვარჯიშის შესრულების დროს ხტომებში დაშვებულმა უხეშმა შეცდომამ მეორე საპრიზო ადგილზე დატოვა, ხოლო გოგამ იმარჯვა და მეორე თანრიგოსანთა შორის ჩემპიონის წოდება მოიპოვა.

ჩვენი ქალაქის ნაკრები გუნდის ღირსებას იცავდნენ: ზაზა ყალიჩავა, დიმიტრი წითაშვილი (მეორე საშუალო სკოლა), ზაზა ქობალია (მეათე საშუალო სკოლა), გოგა სორდია (სკოლა-ინტერნატი), ლევან ბუაძე, ავთანდილ ბუკია (მეთორმეტე საშუალო სკოლა), ზვიად ჯიქია, ირაკლი გოგუა (მეთოთხმეტე საშუალო სკოლა), გოგიტა ქირია (ქვითაწყარის 8 წლიანი სკოლა). გუნდის წარმატებისათვის ვამოუღლელმა და ენერგია არ დაიშურებიათ ცნობილ მწვრთნელებს: ვაჟა ხაბეიშვილს, ალიოშა ჩქოტუას, გოგი შიუკაშვილს, გუნდის უფროსს პავლე ქვარცხავას.

შეჯიბრების ორგანიზატორებს მის სასურველ დონეზე წარმართვაში წონადი დახმარება აღმოუჩინეს სამეგრელოს ოლიმპიური რეგიონალურმა კომიტეტმა, ქალაქის განათლების განყოფილებამ, ჩაის კომბინატ „ოდიშის“, ჩაის ექსპერიმენტული საწნეხი ფაბრიკისა და ფაიფურის ქარხნის კოლექტივებმა.

## ახალი ლექსები

### მაღალ მთაზე

მე მოვდიოდი შენი მოჩჩილი,
მზე — დაყრილი და შენი მსურველი,
და მთა-მაღალზე იდგა კოშკივით
შენი სახლი და თეთრი დრუბელი.

ენთო მდინარის ტანი საოცრად,
ელავდა ცვარი ლალისფერ ქვიშის,
მეჩვენებოდა: იქექ წყაროსთან,
მზისფერ წყაროსთან და ირმის ჩრდილში,

მე მოვდიოდი და გულს საოცრად
ენატრებოდა თვალები გიშრის,
მეჩვენებოდა: იქექ წყაროსთან
და მოლოდინის იისფერ ნისლში.

### სიმარტოვე

აქ: მიზეზი დაღონების —
სიმარტოვე, როგორც ჭირი,
მაღლა: დიდი ცა — კოლხების
ოცნებებით მოოჭვილი.
აღარ მოდის (ფიქრი ტირის)
„ჩქიმი სქვამი ყოროფილი“,
ჭრიჭინობლის ჭრიჭინივით
იწელება მოლოდინი.

ანატოლ ქარდავა.

# ეს მისაბაძია

წელიწადზე მეტია, რაც ზუგდიდის დავით აღმაშენებლის ქუჩის (ყოფილი ოქტომბრის) მარჯვენა მხარეს კაბელის ჩადების მიზნით ტროტუარი ამოთხარეს და ამონათხარი მიწა იქვე დატოვეს. ამაზე ქალაქის აქტივის კრებაზეც ითქვა, მაგრამ შედეგი არ მოჰყოლია.

ახლახან ამ ქუჩაზე მდებარე ჩაის ფაბრიკის, ჩაის კომბინატ „ოდიშის“, პირველი საშუალო სკოლის ხელმძღვანელთა ინიციატივით აღნიშნული ტერიტორია კეთილმოეწყო, ტროტუარი მოასფალტდა, ამოიწმინდა წყალსაწრეტი არხი და სხვა.

კარგი იქნება თუ მათ მიბაძავენ სხვა საწარმო-დაწესებულებათა კოლექტივები, კერძო ოჯახები, რომელთა გარკვეული ნაწილი არ იცავს სანიტარულ ნორმებს, ანაგვიანებს ქუჩას. ეს სირცხვილია, სხვა რომ არა იყოს რა.

მ. ნაჭყებია,

შრომის ვეტერანი.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ცხონდია.


## განცხადებები, ცნობები...

სამედიცინო კოოპერატივი „დიაგნოსტიკა“

აწარმოებს გულის, ღვიძლის, ნაღვლის ბუშტის, კუჭქვეშა ჯირკვლის, ელენთის, თირკმლების, შარდის ბუშტის, პროსტატის, საშვილოსნოს და მისი დანამატების ულტრაბგერით გამოკვლევას. ამასთან ერთად ადგენს ორსულობის ვადებს, განსაზღვრავს ნაყოფის მდგომარეობას. გამოკვლევას აწარმოებენ მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტები, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატები, საკავშირო ტრანსპლანტალოგიისა და ხელოვნური ორგანოების გადანერგვის ინსტიტუტის თანამშრომლები.

გიწვევთ კოოპერატივი „დიაგნოსტიკა“, რომელიც მდებარეობს შემდეგ მისამართზე: ქ. ზუგდიდი, დიმიტროვის ქ. №8.

ზუგდიდის საცხენოსნო სპორტული კომპლექსის დირექცია აცნობებს კოოპერატორებს, სხვადასხვა სახის კოოპერატივის გახსნის მსურველ პირებსა და კერძო მოსაქმეებს, რომ იპოდრომს გააჩნია როგორც მრავალდარგოვანი კოოპერატივის, ასევე სხვადასხვა სახის სამრეწველო საქონლის დამამზადებელი საამქროების, სამკერვალოს, კაფე-ბარის, სასადილოს, კომერციული სავაჭრო მაღაზიის და ა. შ. გახსნისათვის საჭირო მიწის ნაკვეთი, სათავსოები, შენობა-ნაგებობები და სხვა.

დაინტერესებულ პირებსა და ორგანიზაციებს დაწვრილებითი პირობების გაგება შეუძლიათ ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.

მისამართი: სოფელ რუხი, იპოდრომის დირექცია.


ჟუჟუნა, ივენგო, ნუგზარი ზარქუები ოჯახებით იუწყებიან ძმისა და ბიძის

**ბონო ილარიონის ძე ჭითანავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 30, 31 ოქტომბერს. დაკრძალვა 1 ნოემბერს. გამოსვენება ქ. წალენჯიხა, ზუგდიდის ქ. 4, 4 საათზე.

ზუგდიდის შინაგან საქმეთა საქალაქო, რაიონული განყოფილების თანამშრომლები თანაუგრძნობენ გურგენ ფიფიას მამის

**მელიტონ ადამურის ძე ფიფიას**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე ნიურა, შვილები: ზურა, მიმოზა, ზოია. ციური, დები: ნუცა, ჟუჟუნა, შვილიშვილები: შორენა ცომაია, ინგა. ჯონი ნადარაიები, თეა. თემური ბიგვავები. ინგა. გოგა ჭითაშვილები. ძმისშვილები: ვალერი, ბადრი, იზა ცომაიები, ლუარა, მანერი, გოგი, ონერი ჯალალონიები, დისშვილები: ლივტერი, ელდარი, ლუიზა, მზია კვარაცხელიები, ბონდო, ოთარი, ზეზე, იამზე, დოდო გეთიები, რძლები: მარგო, მზია, ნუნუ, მამიდაშვილები: ვაჟა, ნუცა, მერიკო. პივა მირცხულავები. ბიძაშვილები გიგი. ხუტა. კუკუშა ჭაფანძეები. დეიდაშვილები: ვაჟა, ნაზო, მაგული. ფაცა შენგელიები. სიძეები: შაქრო ნადარაია. გულადი ბიგვავა, გულადი ჭითაშვილი, ცოლისძმები, ცოლისდები იუწყებიან

**ფორტე ძაგვას ძე ცომაიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 1, 2, 3 ნოემბერს. დაკრძალვა 4 ნოემბერს განმუხურში.

დედა მარგალიტა. მეუღლე ლიანა. შვილები სლავიკი. სოსო, ნონა. მადონა. დები: ნუცა, გული. შვილიშვილები: ზაზა. ლაშა, ლიკა. ალიკა. შოთიკო, ლევანი. რძლები: ნათელა, ნინო. ბიძა ვალერიანე ბუკია, სიძეები ალიოშა ჯონჯუა, ტიტიკო ჯლარკავა, ფრიდონი თორია, ზური ლებრანძე, ცოლისძმა გრიშა იზორია, ცოლისდები: ნელიკო. ნათელა. ქვისლები: სერიოჟა ტაბაღუა, შაქრო თოლორაია, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები, ახლო ნათესავები ოჯახებით იუწყებიან

**ბუჟუ (კონსტანტინე) ფილიპეს ძე შამათავას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 2, 3 ნოემბერს. დაკრძალვა 4 ნოემბერს სოფელ ახალკახათში.

მეუღლე ფრიდონი, შვილი მარინა, დედა, ნინა, მამა ალექსი, ძმები: იურა, ვახტანგი, საშა, დები: ზოია, ირა, დედამთილი ნათელა, მამამთილი სადლათი, ბიძები: ვიქტორ სტრიგინა, ილე ფიფია, მამიდები: სულიკო ჯობავა, ნელი ფიფია, დეიდა ზოია. ბებია ვალია ქვარაია. მაზლები: მურმანი, ბესიკი, ბორისი, მულები: ლიანა, ეთერი. მადონა. რძლები: ირინა. გული. ზოია, ნონა, ქეთო, სიძეები: ნიკოლაი კრუბკო, ლონგური, კაკავა, ვაჟა ყულიჯანოვი, ნუგზარ ნაჭყებია, ძმისშვილები: აქსანა, ვიქტორია, ვიტალი. დისშვილი სვეტა, ბიძაშვილები, დეიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**მარინა ალექსის ასულ შამათავა-კვარაცხელიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 31 ოქტომბერს. 1, 2 ნოემბერს. გამოსვენება 3 ნოემბერს 5 საათზე სოფ. ორსანტიიდან. დაკრძალვა 4 ნოემბერს სოფ. კონსტიტუციაში (გალის. რაიონი).

დედა პაპუცა, მამა სერგო, დები: ნუნუ, ნონა, ძმები: ოთარი, გოჩა, თამაზი, რეზო. სიძე გელა ჩომახაშვილი, დისშვილები: ნათია, ავთო. ბებია დონია კვანჭიანი, დეიდები: მარი, თამრო, თინა, ბიძები ვალო, ტარიელო ჭკადუები, კაკო კოტე კვანჭიანები, მამიდა პაშა, ბიძაშვილები, დეიდაშვილები, მამიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**ვალერი სერგის ძე ჭკადუას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 30, 31 ოქტომბერს. 1, 2 ნოემბერს. დაკრძალვა 3 ნოემბერს ჩხორიაში.

ზედაეწერის ჩაის ფაბრიკის კოლექტივი თანაუგრძნობს ჯემალ ცხადაიას მამის

**აკაკი ლეონტის ძე ცხადაიას**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

დედა ქეთო, მამა ოტო, და ია, სიძე: როლანდ გვათუა, დაზმირი ვეკუა. დისშვილები: ვალერი, ლევანი გვათუები, დეიდები: ანტისა, ლია, ბიძები: ზაური. ნაპო ფეტელავები, გეფირი შამუგია, სერგო კუტალია, ბიცოლები: მზია მარშანია. ვეროკო ზაქარაია, დეიდაშვილები: მარინა შამუგია. ზურაბი, ვახტანგი კუტალიები. ბიძაშვილები: გელა. ქეთინო, ლაშა, ნანა ფეტელავები და ახლო ნათესავები იუწყებიან

**პაატა ოტოს ძე აბლოთიას**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 31 ოქტომბერს. 1, 2 ნოემბერს. დაკრძალვა 3 ნოემბერს ქ. ზუგდიდში, გამოსვენება კომკავშირის ქ. 8-დან.

ქ. ზუგდიდის მეორე საშუალო სკოლის 1964 წლის კურსდამთავრებულები იუწყებიან თანაკლასელის

**ჯუმბერ დომეს ძე ქანთარიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ლონგური კაკავა, ვაჟა ყულიჯანოვი, ნუგზარ ნაჭყებია ოჯახებით იუწყებიან რძლის

**მარინა შამათავა - კვარაცხელიას**

გარდაცვალებას.

ზუგდიდის №9 მოძრავ-მექანიზირებული კოლონის მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან

**კარლო ალექსანდრეს ძე კვარაცხელიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ჩხორიის საშუალო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლეები და კლასის ხელმძღვანელი თანაუგრძნობენ ნინა ჭკადუას ძმის

**ვალერი სერგოს ძე ჭკადუას**

გარდაცვალების გამო.

ზუგდიდის რაისაავადმყოფოს კოლექტივი იუწყება ყოფილი თანამშრომლის, შრომის ვეტერანის

**მარიამ (ძაბიკო) გიორგის ასულ კვირკველიას**

გარდაცვალებას.


ИНДЕКС 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი მერაბ კოსტავას ქ. № 52. ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის — 2-33-69 პასუხისმგებელი მდივნის 2-31-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2-21-78 მშრომელთა წერილების 2 25-12, რადიორედაქციის 2-47-00

საქ. სსრ ბეჭდვსახკომის ზუგდიდის სტამბა, მერაბ კოსტავას ქ. № 52, ტელეფონი 2-23-07 ტირაჟი 22000 შეკ. №1694